

შპს „შარაგზამშენ-პირველის“

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ს/კ244559722

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში1

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....3

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....4

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „შარაგზამშენ-პირველი“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი

საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, ხელმძღვანელობის მიერ

დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 25 ივნისი

გენერალური დირექტორი:

გულადი ბერაია

მთავარი ბუღალტერი:

ნაზიბროლა ქობალია




2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეული ლარი)

	შენიშვნა	2022
ამონაგები	4	11.770.551
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(5.392.167)
საერთო მოგება		6.378.384
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	6	(5.735.561)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	7	(0)
სხვა შემოსავლები	8	
მოგება დაბეგვრამდე		642.823
მოგების გადასახადის ხარჯი	9	0
პერიოდის მოგება		642 823
სხვა სრული შემოსავალი		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		11.770.551
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში		4.318.379
დივიდენდი		(0)
სხვა ცვლილებები მოგებაში		(3)
		3.161.202
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს		

ხელმოწერი პირები:

გენერალური დირექტორი:
გულადი ბერია



მთავარი ბუღალტერი:
ქობალაძე

ნაზიბროლა

[Handwritten signature]

[Handwritten signature]

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	4.294.627	3.864.887
საინვესტიციო ქონება	11		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა			
წილობრივ ინსტრუმენტებში	12	128,450	128,450 d
სულ გრძელვადიანი აქტივები		4.423.077	3.993.337
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	13	1.228	128.326
სავაჭრო მოთხოვნები	14	1,194.939	1.840.360
		978.740	318,829
გადახდილი ავანსები		-	
მარაგები	15	311.680	178.020
სხვა მიმდინარე აქტივები	16	2,486.487	2.465.535
არამატერიალური აქტივები		312.684	377,971
სულ მოკლევადიანი აქტივები		2.799.171	2.843.506
სულ აქტივები		7.222.248	6.836.843
კაპიტალი			
.საწესდებო კაპიტალი		10710	10710
გაუნაწილებელი მოგება		3.950.532	2.793.355
გადაფასების რეზერვი		357137	357.137
სულ კაპიტალი		4.318.379	3.161.202
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	17	991.111	1.826.937
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულება	18	1.556.634	1.586.907
საგადასახადო ვალდებულებები		94.102	126.654
სხვა ვალდებულებები		262.122	135.143



სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1.912.858	1.848.704
სულ ვალდებულებები	2.903.969	3.675.641
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	7.222.348	6.836.843

ხელმოწერი პირები:

გენერალური დირექტორი:
გულადი ბერაიამთავარი ბუღალტერი:
ნაზიბროლა ქობალია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 **ზოგადი ინფორმაცია** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შარა-გზამშენი პირველი“ (შემდგომში „კომპანია“ დარეგისტრირდა 2005 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, ქ.ბოზი მისი ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

2022 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

2021 წ.

2022 წ.

აქციონერი:

გივი შენგელია

100%

100%

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2023 წ 25 ივნისი

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ

2 მომზადების საფუძვლები

2.1. მსს ფასს-ის პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (I შ) მიერ. 2023 წელს კომპანია ამზადებს 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, ამ სტანდარტის მიხედვით ანგარიშგებას, შესაბამისად ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი, რაც განხორციელდა მსს ფასს სტანდარტის

სათანადო მოთხოვნების მიხედვით. ყველა ტანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

2.2. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის ტარილისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 3.2. შენიშვნაში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.


ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.


3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.



ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ პერიდიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

		წელი
ნაგებობები	10-15	
შენობები 15-25		
ძალოვანი, თბოტექნიკური, და ტურბინული მოწყობილობები	4-6	
ელექტროძრავები და დიზელგენერატორები	4-6	
კომპიუტრული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	2-4	
სპეციალური ინსტრუმენტები	4-5	
მსუბუქი ავტომობილები	5-10	
სხვა ავტოტრანსპორტი	5-10	

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი(რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

3.1.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის ასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ

დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს პროექტის მშენებლობისათვის სახარჯ მასალას და დაუმთავრებელ წარმოებაზე გაწეულ მასალის დანახარჯებს

კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

3.2. ამონაგების აღიარება

სამი ტიპის ამონაგების აღიარება ხდება: ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან, ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან, ამონაგები სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან.

საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების ჩატარების მიხედვით, რაც დასტურდება მხარეების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით და არის საფუძველი შემკვეთის მიმართ მოთხოვნის წარმოშობისა.

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, ეს არის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი, და შესაძლებელია ამონაგების ტანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზრაურების რეალური ღირებულების ტოლია.

ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან (სამშენებლო ტექნიკა) ხდება თანაბარზომიერად (წრივად) იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. პროცენტის ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მის ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ:



უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2021	31.12.2022
ლარ/1 აშშ დოლარი	3.0976	2,70,2

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების ტანახმად შეიცვალა მოგების გადასახადი, ახალი კანონის მიხედვით გადასახადის განაკვეთი ნულოვანია იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარცხა კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით., ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, ასევე ზოგიერთი ტრანზაქცია რაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ითვლება მოგების განაწილებად. აღნიშნული ცვლილებების ზგამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან ვალდებულება.

სხვა გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა) აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისაგან და ბანკის ანგარიშებისაგან

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურება.



ფინანსური ვალდებულებებისა და ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით, რომელსაც ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მათ შემენასთან.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია შემდეგნაირად (გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელის წარმოიშვებოდა ინსტრუმენტის გაყიდვისას ან სხვა ფორმით გასვლისას):

სავალო ინსტრუმენტები—ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გარდა სავალო ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ესენი შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

ინვესტიციები სხვა კომპანიაში—თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლებით, თუ ასეთი არსებობს.

4 ამონაგები

ამონაგები სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	10.438.963
--	------------

ამონაგები მარაგების გაყიდვიდან	1.331.588
--------------------------------	-----------

სულ ამონაგები	11.770.551
---------------	------------

სხვა

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

- მარაგების ცვლილება
- მარაგების შესყიდვა

5.392.167

გარდაქმნის ხარჯი

5.735.561

ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

შრომის ანაზღაურება

1.552.840

ცვეთა და ამორტიზაცია

584.528

ტრანსპორტის შენახვის ხარჯი

466.495

ბუნებრივი აირი და ელ ენერგია

417.362

ტრანსპორტისა და მუშა მოსამსახურეთა დაზღვევა

62.334


იჯარის ხარჯი

239.695

საოფისე ინვენტარი

17.290

საკანცელარიო და საოფისე ხარჯები



საგადასახადო ხარჯი	98.826
საბანკო ხარჯი	16.111
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯი	11.658
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	2268422

სულ ხარჯი 11.127.728

მოგება / (ზარალი) წმინდა
მოგება 642.823

მოგება სხვა შემოსავლებიდან
ჯარიმები

8 ფინანსური ხარჯი

სულ ხარჯები 11.127.728

9 მოგების გადასახადის ხარჯი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები, ახალი კოდექსით მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მესაკუთრეებზე დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდის განაწილებისას გადასახდელი მოგების გადასახადი დაიანგარიშება განაწილებული დივიდენდის ოდენობიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებული დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. ამასთანავე საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის გადახდილი დივიდენდი არ იბეგრება

ამავე კოდექსში ცვლილებების თანახმად მოგების გადასახადიტი შეიძლება დაიბეგროს გარკვეული ოპერაციები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

10

11

12 ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ
ინსტრუმენტებში

კომპანია ფლობს 100 წილს კომპანიაში, რომლის აქციები არ იყიდება საჯაროდ
რომელიც არ არის არც შვილობილი და არც მეკავშირე საწარმო და აღირიცხება როგორც
ფინანსური აქტივი—თვითღირებულებით რომელსაც აკლდება გაუფასურების ზარალი.

	2021	2022
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	128.450	128.450

14 სავაჭრო მოთხოვნები

	2021	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,194.939	1,840.360

15 მარაგები

	2021	2021
მარაგები რომელიც საწყობშია	311.680	178.020
		0
სულ	311.680	178.020



დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

დაკავშირებული მხარე არის მხოლოდ კომპანიის მმართველი პერსონალი,

მმართველი პერსონალის წლიური ანაზღაურება

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	11770551	10536849
საქონლის გაყიდვიდან	1331588	1573076
მომსახურების გაწევიდან	0	8923773
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	10416495	0
სხვა	22468	40000
გაყიდვების თვითღირებულება	-5392167	-5228036
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	6378384	5308813
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1552840	-1290391
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-584528	-804463
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-242479	-112618
იჯარის ხარჯი	-239697	-132478
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-3116017	-2765638
სულ საოპერაციო ხარჯები	-5735561	-5105588
საოპერაციო მოგება	642823	203225

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან დ	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპე	642823	203225
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	642823	203225

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადა	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	642823	203225
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4318379	4234307
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კი	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-1800000	-119153
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3161202	4318379



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	128326	1228	26419
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1840360	1194939	1419448
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულა	310829	0	0
მარაგები	178020	311680	277357
მზა პროდუქცია	50993	76642	52069
სხვა	127027	235038	225288
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	978740	1730022
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	8000	8000	8880
ძირითადი საშუალებები	3864887	4294627	3041572
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	128450	128450	128450
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტ	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	377971	304684	0
სულ აქტივები	6836843	7222348	6632148
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1586907	1556634	1014735
ანარიცხები	44418	8686	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	114801	13619	43145
საგადასახადო ვალდებულებები	82236	85416	86813
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1826937	991111	828148
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	20342	248503	425000
სულ ვალდებულებები	3675641	2903969	2397841
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოო	10710	10710	10770
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2793355	3950532	3866400
გადაფასების რეზერვი	357137	357137	357137
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3161202	4318379	4234307
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6836843	7222348	6632148
სულ მოკლევადიანი აქტივები	310829	978740	1738022
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	20342	248503	2419621



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაც	11770551	11029115
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვეს	-11643453	-11054306
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	127098	-25191
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრ	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარი	1228	26419
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარი	128326	1228

